გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 185

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული №20 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის N20 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი სოფელი კარალეთი.არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1199.00 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.064 (ახალი ს/კ 66.46.26.003.611) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ნანა პეტრიაშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების განხორციელებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნანა პეტრიაშვილი ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N20 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი სოფელი კარალეთი.არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1199.00 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.064 (ახალი ს/კ 66.46.26.003.611) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის N20 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი სოფელი კარალეთი.არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1199.00 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.064 ახალი ს/კ 66.46.26.003.611) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე